

1-20 სტრ., 36r

ჟისსა მაღალ მსვლელობას დენარალ მაიორს ივან ლეოვიჩს ყიზლარის კამენდანტს  
ჭროინდორჭ-

ს. ჟე უღირ სი Ⴢრქონი კათალიკოსი ს~დ საქართუჭლომსა მოვახსენებ მათგან  
ბრძანებ-

ულისამებრ თხოვისა, რ~ლიცა დაღათუ მრავალ-განსაცდელ-შემთხუჭვისაგან  
დავიწყებით სახელნი

მეფეთა საქართუჭლომსათანი თვითო თვითოდ არღარა მახსოვან. მაგრა  
სახელოვანთა მეფეთა სახე-

ლნი, ანუ გარდაცვალებანი მეფეთა გუართანი, და ანუ განყოფანი ნათესავნისანი სამ  
სამეფოდ ესენი

არიან, რ~ლნიცა ძველთა შ~ა მატიაზეთა საქართველოსათა წარმიკითხავნ:

სიტყუა პირველი.

შ~დ ვ~ემე მამა ქართლისა, და ყ~ლთა მათ ქართველთა. ესე იგი ქართუჭლთა,  
იმერთა, კახთა, და ჯა-

ვახთა, რ~ლთაცა ყ~თა მათ ეწოდების ქართუჭლი. იყო ქართლოს: ლ~ სწერენ წერილთ-  
მწერალნი

სომეხთა და ქართველთანი, ვ~დ ტომისაგან იაფეთისა ყოფად ქართველთა  
დასომეხთასა:

ღმან აღაშენა პირველად ციხე არმაზისა, დადაეშენა მუნ დაუწოდა ციხესა მას  
ქართლი, დამიერთგან

ეწოდა ყ~ა ქართლსა ქართლი: ხ~ ესხნეს ძენი ვიდრემე რ~ლთა პირველი იყო  
მცხეთოს. რ~ლნ აღაშე-

ნა ქალაქი აღმოსავალით არმაზისა. შ~ს ორთა მათ მდინარეთა, მტკუჭრისა,  
დაარაგვისა, დასახელი დასდვა

მას თვისი, ესე იგი მცხეთა: ლ~ ძმათაგან მისთა იშუენეს კახნი, დაჯავახნი. და მისა  
მისისაგან

რ~ლსა ეწოდა უფლოს იშუენეს ქართუჭლნი, ესე იგი ქართლელნი, იმერელნი,  
გურიელნი, რაჭ-

უჭლნი, რომელნიცა არიან იმერნი ესე ყ~ნი, დამთით კერძო საერისთოთა არაგვისა,  
დაქსნისათა.

რაოდენნიცა არიან ენითა ქართულითა მოუბნარნი:

ლ~ უფლოს ძემან მცხეთოსისმან აღაშენა დასავლით მცხეთისა ქალაქი დასახელი  
დასდუა მას

უფლის-ციხე, წიად-მდინარისა მტკუჭრისა კლდეთა შინა, რ~ლი არს მახლობელ  
გორისა. ვჰგონებ,

ვ~დ ვერსითა შვიდითა: Ⴢქადამ განმრავლდა ნათესაობად ქართუჭლთა, ხ~ ერთისა  
ვისმე უფლოსისგანისა

1-20 სტრ., 36v

ნათესავისაგან იქმნა, რ~ლიმე შთამომავლობა, რ~ლთასა აქუნდათ არა თუ სახელი მეფობისა, არამედ ვოივადაებრი რადმე პირუჭლობად, და აქუნდა შვლთა ქართლოსისთა პირველისა ქართუჭლთა ყო-ველთა მამისათა მთავრობად, და იჯდა იგი მცხეთას ქალაქსა: **ქ** ამათ ვოივადათა ჟამთა შინა იყუნ-ეს წმიდანი მამათ მთავარნი. **ჯ**ბრაამ, **ს**საკ და **ს**საკობ. დიდი **ი**ის-მზრახუჭლი **შ**ოვსე. და **ყ**ნი წწრმეტყუჭლნი, ვიდრე ჟამადმდე **ჯ**ლექსანდრეს მეფისა მაკედონელისა. რ~ ესე ოდენნი იმეფნეს ამათ ჟამნი, ვ~დ **ყ**ნი მამამთ-მთავარნი, და წწყნი; და მეფობანი სირიელთა, სპარსთა, დამაკედონთანი, ვ~ე მეფობადმდე ჰრომთა გარდაიცვლანეს: **ქ** || **ჯ**ლექსანდრემან სპარსეთით მომავალმან ანუ მიმავალ-მან სპარსეთად დაიპყრა ოდეს იგი ქართლი. დადაუტევა კაცი ერთი აზონ ორასითა მკედრითა რომე-ლნი იყუნეს იტალიელნი, და თვნიერ თავადთა რაოდენნიცა აზნაურნი არიან საქართუჭლოსა შ~ა ყოველსა აზონის მკედართა არიან ძენი: და ესე ვ~ემე სიტყუა პ~ლი აქამდის:

**სიტყუა შ~ეორე:**

**ს**ყო ვინმე ჭაბუკი სახელით ჭარნავაზ ძე ვოივადათა რ~ლი ზემო ითქუა, დადედა მისი იყო ასული **ჯ**აროს მეფისა სპარსთასა. და აღზარდა დედამან მისმან ფარულად სპარსეთს შ~ა, მით რ~ || **ს**პარსთაცა შ~ა მაკედონთა იყო მთავრობა დ დაეშინოდა მათი, ნუ უკუჭ **ჯ**აროსის ნათესაობის გამო არა რად ევნოს ძესა მისსა. დაეშინოდა აზონისაგანცა, რ~ მამა და **ყ**ნი სახლი ჭარნავაზისი აღისპო **ჯ**ლექსანდრეს მიერ, დაშემდგომად აზონის მ~რ: **ჯ**ა ვ~რ იქმნა ოცისა წლისა ჭარნავაზ, წარმოვიდა სპარსეთით, დამოვიდა მცხეთად, ა~დ ფარულად შიშითა აზონისათა, და ნადირობასა შინა კლდეთა შორის ტფილისისათა იპოვნნა მრავალნი უნ-ჯნი, და დიდროანნი კერპნი ოქროსა, და ვერცხლისანი დამალულნი, ხ~ წარმოიხუნა იგინი. დაკე-რძოთა მეგრელთასა იყო ვინმე თავადი დიდი სახელით ქუჯი. მისცა მრწემი დად თვისი. ცოლად ქუ-1-20 სტრ., 37r ჯის, და ლაშკარი შეიკრიბა უნჯითა მით, და მოკლა აზონ, და დაიპყრა აფხაზეთითგან ვ~ე დარუბან-

დამდე. და მაშინ მომკუდარი იყო ზღუდისაჲ, და იწოდა მეფედ, და განაგო წესი. მეფობისა,  
სპარსთა მეფეთა წესისაებრ. და ამან შეაწყო ენისა სინარნარეცა ქართული: **ღ**-  
მრავალნი მე-  
ფენი იშვნეს ნათესავნი ამისნი, მაგრა აღსწყდა ნათესაობა ამისი, და ერთი ოდენ ქალი  
დაშთა,  
რ~ლსა მოჰგუარეს ქმრად, ქართველთა, ძე სომეხთა მეფისა ნათესავისაგან სპარსთა  
მეფისა სახელით  
**ჯ**დერკი. ჟამსა აგვსტოს კეისრისასა. და იქმნა ჭარნავაზიანთა მეფობისა  
გარდაცვალებაჲ არშ-  
აკიანთად. და ესე ჯდ ვიდრემე სიტყუა აქამდის:

**ს**იტყუაჲ **შ**ესამე:

**ჯ**მის **ჯ**დერკის ზე || <note>|| **შ**ატ[.]</note> იშუა **ა**ჲნი **რ**~ნი **რ**~ჯ **ქ**~**ი**. და ამან **ჯ**დერკ  
იმეფა ჟამადმდე **რ**~აიოსს, დაკლა-  
ვდი კეისართა, და ამისგან შთამოვიდეს მეფენი რაოდენნი. მე ვ~ე ჟამადმდე  
დეოკლიტიანე კეისრისა. და  
ჟამსა მას აღსწყდეს ძენი **ჯ**დერკისნი **ჯ**რშაკიანნი. და ითხოეს ქართუჴლთა სპარსთა  
მეფისა ხოსროვი-  
სგან ძე მეფედ, დამისცა უმრწმესი ძე თვისი **შ**ირიან მეფედ ქართუჴლთა, სპარსთა და  
სომეხთა  
მეფემან ხოსრო. და მოიყუანე ჭაბუკი **შ**ირიან მეფედ ქართველთა, ძე სპარსთა  
დასომეხთა მეფისა ხოს-  
როვისა. და მეფე იქმნა **შ**ირიან აფხაზთა, და შვილთა ზემო თქმულისა  
ქართლოსისთა, და არა შვი-  
ცვალა გუარნი მეფობისა, რ~ ხოსროცა მეფე მამა მირიანისა არშაკიანი იყო, ა~დ  
შეიცვალა  
სახელი გუარისა, მით რ~ არღარა არშაკიანად, ა~დ ხოსროანად იწოდნეს მეფენი  
ქართველთანი:  
**ღ**~ მეფე იქმნა სომეხთა ზ~ა უხუცესი ძმად **შ**ირიანისა **ღ**ირდატ. **ჯ**მან უკუჴ **შ**ირიან  
ისმინა,  
ვ~დ მეფე იქმნა **ს**ოსტანტინე ჰრომს ძე კოსტა დიდისა, და ნათელს-ილო  
**ს**ილივისტროს მიერ ჰრო-  
მაელ პაპისა. და შ~დ რაოდენთა არა ფ~დ მრავალთა წელთა მოვიდა ქალწული **ნ**ონნა.  
და განანათ-  
ლნა ყ~ნი საქართველოჲ შვილნი ქართლოსისნი ნათლითა ჰ~ტისა სარწმუნოებისათა.  
და თვთ  
1-20 სტრ., 37v  
მეფემანცა **შ**ირიან ათელ-ილო, და ყოველთა ქართუჴლთა ჳელითა **ი**ვსტათი.  
ანტიოქელი.

მამათ-მთავრისათა, რომელიცა აღრაცხილ -არს უვსტათი. იგი რიცხვთა. შორის სამას ათრუა-

მეტთა ნიკიელთა შ ამათასა: **ქ** წმიდამან მეფემან კოსტანტინე: ჟამსა ამის

შირიანისასა ჰპოვა ცხოვრ-

ება ყისა სოფლისა პატიოსანი **ქ**ისა უისა **ი**ისა, და შაცხოვრისა ჩნისა **ქ** **ქ**ისა.

ხ ფერხი-

სა საუფლოდსა ფიცარი ცხოველს-მყოფელისა **ქ**ისა, და სამსჭჳალი საუფლო, რლი არს დღეს

სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს რლიცა კათოლიკე ეკლესიასა შა არს მოსკოვს

წარმოუგზავნა ამას

**შ**ირიანს **ს**ეისარმან **ს**ოსტანტინე:

**ქ** იშუნეს ამის შირიანის ნათესავისაგან რაოდენნიმე, რლთაგანი არს უახტანგ პირველი, რლსა

მგელ-ლომად სახელ-სდებენ სპარსნი. და ესე უახტანგ იყო ჟამსა **ქ**ეოდოსი პლისა, და მისა

მისისა **ქ**რკადისთა: **ქ**მან ვახტანგ უწოდა ქართილისა კათალიკოსსა კათალიკოსი ბრძანებითა

ანტოხელისა პატრიარხისათა. რ ველსა ქუჭშე ანტოხელისა პატრიარხისასა იყო ყოველი

საქართუწლოდ. ამანვე განყო, საეპისკოპოსოებად სამეფო თვისი, და დაადგინნა ეპისკოპოსნი

ათორმეტნი ქართლს, ათორმეტი ჯავახეთს, ორი იმერეთს, და ცხრა კახეთს. და ესე ყი ველისქუჭ-

შე ჰყო მცხეთისა და ყოვლისა საქართველოდსა კათოლიკოსისა. ამანვე მეფემან უახტანგ აღაშე-

ნა ქალაქი ტფილისი; ქალაქი ნისანი გაღმართ ტფილისისა, ქალაქი კალისი, ჩრდილოთ

კერძო ტფილისისა, და ქალაქი კასპი აღმოსავლით კერძო უფლისციხისა, ამანვე აღაშენა

ეკლესია საკათალიკოსო მცხეთას სახელსა ზა ათორმეტთა მოციქულთასა:

**ქ** შდ უახტანგისა შთამოვიდეს რაოდენნიმე მეფენი, და ასწყდეს კდ, დაესე ვემე სიტყუა აქამდის:

**ს**იტყუა შეოთხე:

**ქ**ქა უკუჭ ვიტყოდეთ მეფეთა თვის ბაგრატიონთა, რლნი შდ აღწყუჭდისა ხოსროვანთასა, ესე იგი

1-20 სტრ., 38r

შვილთა შირიან, და უახტანგისთა იქმნეს მეფედ: **ქ**ა რლთა უკუჭ მიზეზითამით. ვდ მოა

ოხრა რა იუდეა. **ქ**ქესპასიანეს მრ, დატიტესა, რლნიმე ებრაელთაგანნი ივლტოდეს ფარუ-

ლად შვილნი ტყუფთაგან წარსხმულთა იტალიად შთამოსრულნი შვილთაგან  
კლეოპასთა,  
რ~ლი მოიხსენების სამღთოსა შ~ა სახარებასა || ზუკას მრ, უსენი მოვიდეს  
უეროსალიმად მოო-  
ხრებულსა მას ქალაქსა, დადაემკვიდრნეს მსგავსად მწირთა ქალაქსა მას სამშობლოსა  
თვსსა. ხ~  
ხედვიდეს რა მოოხრებასა იუდეასსა ვერ შემძლეთა ყოფისათა, რ~ მკვდრობდეს  
ქ~ენენი ფ~დ უმ-  
რავლესნი იუდიანთასა, შვილთა მათ ფარულად ლტოლვიით. მოსრულთასა. ჰყუფს  
განზრა-  
ხუა და წარმოვიდეს აღმოსავალად, და მოიწინეს დიდსა ერმანიასა, ხ~ მთავართაგან  
სომეხთასა შეწყ-  
ალებულ იქმნეს. მით რ~ გამოიკითხეს რა მათი იგი ნათესაობაჲ, დასცნეს ვ~დ  
ტომისაგან.  
ზავით, და სოლომონ მეფეთა ისრაილისათა იყუნეს. ხ~ ძმა ერთი მათგანი დაადგრა  
მუნ, და  
ექუნნი მათგანი წარმოვიდეს ქართლად. და ვ~რ მოიწინეს ნისანად სამეფოსა ქალაქსა  
ქართ-  
უჭლთასა, ჯერეთ არდა აღწუჭდილიყუნეს მეფენი ხოსროანნი, და მეფობდა მაშინ სტე-  
ჭანე, დამისგანცა შეწყალებულ-იქმნეს ფ~დ დანათელს-იღეს, რ~ ებრაელთა სჯულის  
შემწყ-  
ნარებელ-იყუნეს მამულისა მათისა. და უხუცესი მათი სახელით გურამ. მეფემან  
სტეფანე  
ამირ სპასალარ[.]-ყო, ესე იგი ჭერთმარშალჰყო, დასხუანი მიიქცენ რ~ლსამე ადგილსა:  
ქ~ გურამ დავითიანი ჭერთმარშალი სტეფანე მეფისა იყო კაცი ფ~დ მცნე, მეცნიერ  
წერილ-  
ისა, და ფ~დ მორწმუნე, და ჟამსა მას საქართველოჲ იყო შერთულ იმპერიასა კეისრისა  
ბერძე-  
ნთასა, რ~ლი იყო დიდი უუსტინიანე, და ცნობილი-იქმნა გურამ უუსტინიანეს მ~რ,  
დამიე-  
მთხვია პატივსა კურატ-პალატობისასა: ქ~ ჟამსა ამას განდგენ სომეხნი წმიდისაგან  
კათოლ-  
ივე ეკლესიისა, დაამისსა ჟამსა იქმნა მოქცევა აფხაზთა სარწმუნოებად ქ~ტისა ქ~ეს  
ო~ისა  
1-20 სტრ., 38v  
ჩ~ნისა ჭრუმენტოისის ვისმე მ~რ უუსტინიანე კეისრისა საქურისისა, რ~ლიცა  
ნათესავით იყო  
აფხაზი. რ~ ამა ჟამადმდე აფხაზნი წარმართ-იყუნესა:  
ზა გურამ იგი დღითი დღე წარემატებოდა წ~ე კეისრისა. და მოკლა სტეფანე იგი  
მეფე.

და მეფედ იქმნა **ღ**ურამ ქართველთა ყ<sup>რ</sup>თა, და აფხაზთა ზ<sup>რ</sup>ა ნათესაობისათვის  
საწინასწარმეტყვე-

ლოსა და სიმხნისა მისისა. **ზ**ა ესე ვიდრემე სიტყუა აქამდის:

**სიტყუა შუხუთე:**

**ზ**ა ვ<sup>რ</sup> შთამოვიდეს რომელნიმე მეფენი გურამისგან; და განიყუნეს სამეფონი ორად.  
ესე იგი

რაოდენნიცა მრავალ გზის მოხსენებულ არიან აქა შვილნი ქართლოსისნი ხუდა პლსა,  
და მეორესა აფხაზეთი. და ჟამთა ამათ შ<sup>რ</sup>ა განთავისუფლდა ჳელის ქვეშეობისაგან  
ანტი-

ობელთა პატრიახისათა

კათოლიკოსი მცხეთისა, და ყ<sup>რ</sup>ისა საქართველოდსა **რ**ოანე ჟა-

მსა მეექუსისა კრებისასა. ხ<sup>რ</sup> იყო მეფე ვინმე ქართველთა **ს**ტეჟანე ძეთან. **ღ**ურამის-  
მისთა, და ჟამსა ამისსა გამოცხადნა ყ<sup>რ</sup>დ ულთოდ მახმედ:

**ჟ**დ მეფეთა რაოდენთამე აღსწყდა მეფეთა ქართუჭლთა დავითიანთა ძეთა

**ღ**ურამისთა ნათესაო-

ბად, და დაიპყრა საქართუჭლოდ აფხაზთა მეფემან დავითიანმანვე **რ**ახტანგ კ<sup>რ</sup>ლმან,  
რ<sup>რ</sup>ლი იყო

ძეთაგან **ღ**ურამისთა და ამის **რ**აგრატის გამო ეწოდა ნათესავთა მისთა

**რ**აგრატოვანი:

**ღ** ესეცა საუწყებელარს, რ<sup>რ</sup> გურამის ჟამიდგან იწყეს გამრავლებად ძეთა

ქართუჭლთასა,

სკოლათა შ<sup>რ</sup>ა კოსტანტინეპოლისათა, და მოვიდეს ქართლად, და ქმნეს სკოლანი  
ენითა ბერძულ-

ითა, და იწყეს თარგმანებად წერილთა, დაშვილის შვილი **რ**აგრატისი. **ზ**ავით მესამე  
რ<sup>რ</sup>ლნ

აღაშენა სოფელნი მოოხრებულნი საქართუჭლოდსანი ულთოთა მახმედიანთა მ<sup>რ</sup>.

გამოჩ-

ნდა უძლეველად, და არღარა ჳმონებდეს სპარსთა არცა ბერძენთა, ა<sup>რ</sup>დ თავისუფალ -  
იყუნეს მეფენი

1-20 სტრ., 39r

ქართუჭლთანი შვიდნი ვ<sup>რ</sup>ე მეფადმდე [.]. **ღ**ამარისეულად, და ესე ვ<sup>რ</sup>ემე სიტყუა  
აქამდის:

**სიტყუა მეექუსე**

**რ**ეყუნეს უკუჭ მეფისა **ზ**ავით მესამისა, შემდგომად მეფენი **ზ**იმიტრი ძე **ზ**ავითისი, და  
ძენი **ზ**-

მიტრისნი კ<sup>რ</sup>ლი **ზ**ავით, და მეორე **ღ**იორგი რ<sup>რ</sup>ლი იყო შვენიერ ხილვითა და ახოვან

**ღ**უა-

მითა. **ზ**იმიტრი უკუჭ მოკუდა და არა დაშთა ნათესავი მისი. ხ<sup>რ</sup> **ღ**იორგი ერთი უკუჭ  
ასული

ჰყუა რ~ლა

საკვირველი **ც**-ამარ:

**ც**მან უკუჭ **ღ**იორგი ცხოვრებასა ვე თვსსა დაადგა გვირგვინი ასულსა თვსსა **ც**-ამარს, დააღია-

რეს ყ~თა ქართველთა, და აფხაზთა მეფედ. ხ~ იყო **ც**-ამარ ოდეს დაადგა გვირგვინი მამამან.

ათორმეტისა წლისა, და შ~დ ორისა წლისა მოკუდა მეფე იგი. **ღ**იორგი ჭაბუკი, დადაფ-

ლეს იგი საფლავსა პაპისა მისისა მიერ **ზ**ავით. მესამისა გან აღშენებულსა ფ~დ შუჭნიერ

გებულსა გენათს:

**შ**-ამინ სცხეს მეფედ **ც**-ამარ ყ~ისა საქართველოდსა, და აფხაზეთისა ქალაქსა ნისანს, და შერ-

თეს მას ქმარი. რათა არა უმკვიდრო იქმნეს სამეფო მისი ძე ოვსთა მთავრისა სახელით დავით. რ~ლი იყო მისვე **ზ**ავითიან **ღ**აგრატოვანისა შთამომავლობისაგან, ესრეთ: **ქ**~ მე-

ფენი ვინმე იყუნეს ძმანი ორნი ამისვე სამეფოსანი **ზ**ავითიან **ღ**აგრატოვანნი შვილთაგან მრავალჯერ მოხსენებულისა **ღ**ურამისთა[.]. კ~ლსა უკუ ძმას ეწოდა **ზ**იმიტრი,

და მეორესა **ღ**იორგი. **ზ**იმიტრი უკუჭ იყო მეფედ. მაგრა ძმამან მისმან **ღ**იორგი მიუღო მეფობა. და ძე უკუჭ ესუა ერთი ყრმა მცირე მეფესა **ზ**იმიტრის, იგიცა მისტაცა ძმამან მისმან **ღ**იორგი, და მისცა ოვსთა მთავარსა მძევლად. **ქ**~ მთავარი იგი ოვსეთისა იყო უშვილო, დამემკვიდრედ თვსსა შეიწყნარა ყრმა იგი, და მამინ ოვსნი, 1-20 სტრ., 39v

და ყაბარდოელნი იყუნეს ყ~ნი **ქ**~ეანე, დაამის ყრმისაგან იშვნეს მრავალნი ოვსეთსა-შ~ა. ხ~ შ~დ ამისსა მრავალთა წელთა მისცა დად თვისი **ქ**უსუდან ცოლად მეფემან **ღ**იო-

რგი მამამ **ც**-ამარისმან მთავარსა ოვსთასა **ღ**აგრატოვანსა. ხ~ ჟამსა სიჭაბუკისასა დაქვრივდა ქალი იგი, და მოიქცა ძმისავე თვისისა საქართველოდ, და მოიყუანა თვსთანა ძე მაზლისა თვისისა ყრმა **ზ**ავით, ქმარი **ც**-ამარისი, და აღზარდა იგი, ხ~ **ღ**იორგი ასულ-

იცა თვისი **ც**-ამარ მისცა აღზრდად დასა მას თვსსა **ქ**უსუდანს: **ქ**~ რ~უს იგი მეფე იქმნა **ც**-ა-

მარ, და ენებათ ქმარი მისთვის ქართველთა და აფხაზთა, რ~ა არა უმკვიდრო იქმნეს სამეფო.

მამინ ძიება ჰყუჭს რათა თუ რ~ლი ჰპოვეს ღირსი ქმრად მეფისა მათსა. თქუჭს, ვ~დ ჭაბუკი ესე **ზ**ავით ნათესავი არს მეფეთა ჩ~ნთა **ღ**აგრატოვანთა. დაკეთილ ზრდილ დამჯნე, ამი-

სი ჰყუჭს გამორჩევად, და **ც**-ამარცა ითნო საქმე ესე, და ქმნეს ქორწილი ვითა შუჭნიოდ

სიმაღლისაებრ მეფობისა ქალაქსა ნისანს:

შრავალნი უკუჭ საკვირჭლნი ჰქმნნა ოამარ, ვითარ იგი მოუთხორობენ მატინენი მცხეთისა,

და გაენათისანი, მრავალნი მძლავრნი და ზუჯანი მეფენი უცხოთესლნი დაამდაბლნა წინა-ალ-

მდგომნი თვისნი, მრავალნი ეკლესიანი, და მონასტერნი აღაშენნა, და აღშენებულნი განამდი

დრნა: **ქ** სომეხთა მეფენი, დაღვანისნი ხარკსა მისცემდეს მას. და ჰყუა მვედრად განწესებულ-

ნი კაცნი, ვ<sup>რ</sup> სამასი ათას 300000: **წ**მისგან უკუჭ ერთისა ძისა, და ერთისა ასულისა კიდე არა რა იშუა, და სახელი ძისა მისისა **ღ**იორგი, ხ<sup>ნ</sup> ასულისა **ქ**უსუდან:

**წ**მან უკუჭ დაჰყო მეფობასა შ<sup>ა</sup> წელიწადი ოცი. და ესრეთ მოვიდა იგი წ<sup>ე</sup> **ო**ფლისა. და იქ-

მნა ძე მისი **ღ**იორგი მეფედ წლისა ათშვიდმეტისა. და ესე ვ<sup>ე</sup>მე სიტყუა აქამდის:

**ს**იტყუა მეშვიდე.

1-20 სტრ., 40r

შოკუდა **ღ**იორგი მეფე, დადაშთა ყრმაჲ მცირე სახელით დავით - ხ<sup>ნ</sup> მეფე იქმნა **ქ**უსუდან და მისი, რ<sup>ლი</sup>ცა დაღათუ შუჭნიერ მსგავსად დედისა თვისისა, გარნა არა საქებელ

ვითა სანატრელი იგი დედაჲ მისი: **წ**მას უკუჭ **ქ**უსუდანს განუდგა თავადი ვინმე ქართლ-

ისა, და ვ<sup>რ</sup> ჰყო კ<sup>დ</sup> მონებაჲ მისივე მისცა მძევლად თავადმან მან ძეჲ თვისი. ხ<sup>ნ</sup> იხილა რა **ქ**უსუდან მძევალი იგი, ეტრფიალა მას გარნა არა ისიძვა, ა<sup>დ</sup> ქმრად შე-იყუანა იგი პალატსა თვისსა სამეფოსა:

**წ**მისსა უკუჭ მეფობასა შინა მრავალნი ბოროტნი იქმნეს სამეფოსა შ<sup>ა</sup> მისსა, და გან-რისხდა **წ**ი და იქმნა მოოხრებაჲ ყ<sup>ისა</sup> ქართლისა სპარსთა მ<sup>რ</sup> ლტოლვილთა თათარ-თაგან. ხ<sup>ნ</sup> თათარნი ამისსა მეფობასა შ<sup>ა</sup> დამპყრობელ-იქმნე სპარსეთისა, და მრავალთა

ადგილთა აზიასთა, ხ<sup>ნ</sup> იყო კ<sup>ლი</sup> მათი **ხ**ინგიზ, რ<sup>ლი</sup> ყაენ იქმნა: **ქ** **ჩ**ნ დავდუმნეთ საქმეთათვის **ქ**უსუდან მეფასთა, და ნუ განვაცხადებთ მას ვინადგან იყო ცხებული უფლისა,

და მართლ-მადიდებელ:

შოკუდა უკუჭ მეფა **ქ**უსუდან, დადაშთა ძე სახელით **ჯ**ავით, რ<sup>ლსა</sup>ცა ჟამსა თვისსავე ცხო-

ვრებისასა სცხო მეფედ: **ქ** თათარნი მეფობდეს მაშინ საქართველოსა ზ<sup>ა</sup>, რ<sup>ქ</sup>უსუდან წარ-

სწყმიდა თვით-მპყრობელობაჲ, და თათართა ძე **ღ**იორგი მეფისა რ<sup>ლი</sup> იყო მმისწული **ქ**უ-



სუდან მეფასი, სახელით ზავით. და ძე ქუსუდანისი ზავით ორნივე ერთად მეფედ ჰყუჭს.

ქ~ლთა სიგელნი სამეფოფონი იხილვებიან დღესაცა ქუჭმოწერილნი ესრედ. სიგელი ესე

ძე ზავითისაგან ქუჭ მოწერილი, და ძე ზავითისგან ქუჭ მოწერილია: **ქ~** ზავით ძე ქუსუდ-

ანისა ფ~დ მორწმუნე, და **ი~**ის მოშიშ იყო, გონიერ დაკეთილ-მსაჯულ. და სხუაცა იგი ზავით ესრეთუჭ მაგრა ჟამსა სიბერისასა **სოლომონს** მიემსგავსა ძე იგი **ქიორგისა** ზავით:

1-20 სტრ., 40v

**რ**მათ უკუჭ თან-მოსახელეთა მეფეთა ფ~დი აქუნდათ სიყუარული ურთიერთას. გარნა კაცთა

ბოროტთა შუა ჰქმნეს ბოროტნი საემშაკონი სიძულილისა მიზეზნი, და რ~ა არა განგრძე-

ლდეს სიძულილი, შს ორთავე მათ ზავითთა ჰქმნეს განყოფად სამეფოთა. რ~ ზავითს ძესა **ქიორგისსა** ხუდა ქართლი, კახეთი, შირვანი, დაჯავახეთი რ~ლ-არს სამთავრო ახა-

ლციხისა, და ყაზარდია, ოვსეთი და ქისტეთი, რ~ ოვსეთი, და ყაზარდია დაიპყრა სანა-ტრელმან **მ**-ამარ, და ქისტეთიცა, დაჯიქეთი ეგრეთვე. თვარე ჟამადმდე **მ**-ამარისა, არა იყო

მეფეთა საქართველოსათა: ზა ძესა ქუსუდანისსა ხუდა იმერეთი, გურია, ოდიში, რაჭა,

აფხაზეთი, სუანეთი, და ჯიქეთი: **ქ~** თვნიერ აფხაზეთისა, რადცა ხუდა ზავითს ძესა ქუ-

სუდანისსა ყ~ივე საქართველო არს, და ეწოდების ქუჭმო საქართველომ. და ქართლსა, კახე

თსა, და ჯიქეთსა, რ~ლ-არს ახალციხისა სამთავრო, ეწოდების ზემო საქართველო. და ორნი-

ვე ესე ზემო, და ქუჭმო საქართველო, ქართველთა კათალიკოსისა იყო ეპარხია. მაგრა სხუად სამეფოდ რა იქმნა ქუჭმო საქართველო, აფხაზეთისა კათალიკოსისა იქმნა ეპარ-

ხიად:

**ქ~** საუწყებელ არს ესეცა, რ~ ძისაგან ქუსუდანისა არიან მეფენი იმერთანი. და მისაგან,

**ქიორგისა** არიან, დღესა რუსთა იმპერიასა შ~ა მყოფნი ძენი ქართველთა მეფისანი. და დღეს

მყოფნი ქართლსა, და კახეთს მეფენი ძენი კახთა მეფისანი:

**შ**-ერმეცა საუწყებელ-არს ესეცა, რ~ ჟამსა ერთ-მეფობისასა იყო, სამეფოდ ქალაქად მც-ხეთა, მაგრა ვინადგან მისცუალა[.] სანატრელმან მეფემან **შ**-ახტანგ პირველმან.

**ჩ**ისანს,

და ტვილისს ქალაქი სამეფო, იქმნა სამეფოდ ქალაქად ჩისანი რელია გაღმართ  
ტვილის-  
ისა აღმოსავალით, რელსა დღეს მოხრებულსა მას მინდორსა ეწოდების ავლაბარი:

და  
1-20 სტრ., 41r

ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:

სიტყვა მერვე:

საუწყებელ ვიდრემე არს ესე, რელ შდ ზავით მეფისა ძისა ქუსუდანისა რელა მამა  
იმერთსა მეფეთა

არღარა მონებდეს შვილთა ზავითისთა შთავარნი ოდიშისა, რელსა წოდებულ-  
ჰყოფენ დადიანად.

და მთავარი გურიისა რელა გურიელი. არცაღა აფხაზნი, არცა სქანნი, და არცა ჯიქნი.  
ანდ

თვსად თვსად იმთავრნეს კლნი მათ შორის მყოფნი თავადნი. ხელ აფხაზნი, და ჯიქნი  
მოდრ-

კეს უსჯულოებადცა, გარნა მხოლოდ იმერელნი ოდენ მონებდეს, დაღათუ

რაჭულნიცა, ანდ

რაჭად არა სამთავრო არს, ანდ მისვე იმერეთისა ნაწილი არს: ლელ ძეთა ზავითისთა ძისა  
ღილ-

რგისთა ჰმონებდეს ყნი ქართველნი რადვეცა ხელდა, გარნა არღარა ყაბარდელნი,  
არცაღა

ოვსნი, და არცა ქისტნი, და მიდრკეს უსჯულიებადცა ყაბარდელნი, ოვსნი და ქისტნი:

შრავალ-ჯერ განრისხდა უკულ ინი საქართველოსა ზელ უკეთურებათათვს

ქართველთასა,

მაგრა ოდეს მოიქციან ილისა მყის შეწყალებულ-იქმნიან მსგავსად ისრაილთა ერისა,

ველ მოგვ-

ეთხრობის წიგნთაგან || შოსესთა უსუნავესთა, შესაჯულთა, შეფეთა, ნაშთთა, და

ქელწყველ-

თასა:

ლელ ჰმონებდეს მეფენი ქართველთანი თათართა ნათესავთა: ჩინგიზისთა, და მეფენი  
იმერთ

ანი კეისარსა, და უმეტესი უკულ მშვიდობად აქუნდაყე იმერთა მეფეთა, და იცხებდეს

უკვლესიასა ქუ-

თათისასა, დასამეფო ქალაქ მათდა იყო ქუთათისი:

ნუ დაუტევებთ უკულ ღიორგი მეშვიდისა სახელსა რელი იყო მეფე ქართველთა,

რელიცა

ღირს მოხსენებისა არს: უსე უკულ წოდებულ ვარსკულავად განთიადისა

მემატიანეთაგან ქართ-

ლისათა, მით რელ ფდსა უკეთურებისა ღამესა შელ იყუნეს მეფობადმდე მისა

ქართველნი მე-

ფენიცა და მთავარნი. მაგრა აღმოიქვირვა რა **ღ**იორგი ვარსკჳლავმან განთიადისამან 1-20 სტრ., 41v

განანათლა ღამე იგი სიბოროტისა. და მერმელა მზემანცა სიმართლისამან განანათლა სამეფ-

ოდ მისი: **ღ** უკეთურებასა რა ვიტყვ. არათუ სარწმუნოებისაგან **ჭ**ტისა განსვლასა ვიტყვი.

ა<sup>~</sup>დ ბოროტთა საქმეთა: **ღ**არნა ამისსა მეფობისა შ<sup>~</sup>ა დასცხრეს ყ<sup>~</sup>ნი იგი კაცნი უკეთურნი

სიბოროტეთაგან მათთა, და იქმნა შეცვალება კეთილ-მადლიერად: **ჯ**ა მეფობასა შ<sup>~</sup>ა მისსა

იყუნეს კეისარნი ბერძენთანი **ს**ალეოლოღნი, ეგრეთვე მეფობასაცა შ<sup>~</sup>ა მამისა მისისასა: **ღ** ჰრომაელთა და ბერძენთა შ<sup>~</sup>ს იყო განყოფილებაჲ ჟამსა მას არა ახალი- ა<sup>~</sup>დ ჯერ-

ეთ არღა ქმნილიყო კრება ჭლორენცას. და ესე ვიდრემე სიტყუა აქამდის:

### სიტყუა შ<sup>~</sup>ეცხრე 9

**რ**ა საიჭ<sup>~</sup>ჭლ სადამე არს შ<sup>~</sup>დ **ღ**ურამ დიდისა შეცვალებაჲ გუარისა მეფეთა ქართლისა, დაკა-

ხეთისათა, ა<sup>~</sup>დ მისვე **ჯ**ავითის, და **ღ**ურამის ძეთაგან არიან რტონი ხისა კეთილ-სიტყვიე-

რისა **ღ**აგრატისნი უსუალებელად. დაღათუ იცვალა შ<sup>~</sup>დ **ღ**ამარის ასულის **ქ**უსუდან მეფისა

გ<sup>~</sup>არი, ა<sup>~</sup>დ იმერთა მეფეთა ოდენ განისაკუთრეს შეცვალება იგი, და იგინიცა შ<sup>~</sup>დ ერთი-

სა ც<sup>~</sup>ალებისა არღარა აღსწყდენ, ა<sup>~</sup>დ მისვე **ქ**უსუდანისათა არიან ძეთაგანნი:

**ღ**აწყოდენ უკ<sup>~</sup>ჭ მალალ-მსლველობამან თქ<sup>~</sup>ნმან, უკეთუ არა მიპყრობდეს მე აღვირი თქ-

ვენისა მორჩილებისა, დუმილი შემიპყრობს აქა გულვებადთათვის მოსათხრობელთა, დავერ დამპყრობელ ცრემლისა ვარ თქმადთათვის: გარნა ვინადგან ითნებს თქ<sup>~</sup>ნი ეგე მალალ-

მავალობაჲ საქართველოსა მეფეთა ტომთა განყოფათათვის, და პროვინციათა თვს საქრთ<sup>~</sup>ჭლ-

ოსათა შემეცნებისა ესე არა დაიტევების:

**რ**ყუნეს უკ<sup>~</sup>ჭ შ<sup>~</sup>დ **ღ**იორგი მეშვიდისა მეფენი ძეთაგან მისთა რაოდენნიმე, დაღათუ არა

ფ<sup>~</sup>დ მრავალნი. ხ<sup>~</sup> იქმნა მეფედ **რ**ახტანგ მეოთხე, და ჟამსა უკ<sup>~</sup>ჭ **ღ**აგრატისსა მო- 1-20 სტრ., 42r

იძულვა **ი**ნ ნათესავი **ქ**ართველთა, რ<sup>~</sup> მრავალჯერ იქმნა მოოკრება საქართველოდ სა, მაგ-

რა ესე ვ<sup>~</sup>რი არაოდეს, რ<sup>~</sup> უღთომან **ხ**ანგთემურ ჰყო საკვირველი მოოკრებაჲ, რ<sup>~</sup>ლი არა

სადა სმენილ-არს:

**შ**-ოიწია რა უკუჭ მძლავრი იგი პდ ქალაქი იგი სახელოვანი სადა იცხებდეს მეფენი რლ-

არს ჩისანი, ტფილისი, კალისი, და მანისი, მცხეთა, კასპი, გორი, ურბნისი, და ყნი ქალაქნი ქართლისანი, ეგრეთვე კახეთისანი ყნი, და იმერეთისანი ბრწყინვალე იგი ქალაქი ქუთათისი სამეფო ქალაქი იმერთა ყოვლითურთ ალაოხრა, და ესე ყოველი ლანთემურის მრ ცეცხლითა აღისპო: **ქ** ერთი უკუჭ საქმე ახალი შემოიღო ყდ უღთომან მან, რ ტყვსა წარყუანებად ჰქმნა არცა ერთისა, ად მოასხიან რა სიმრავლენი მრავალთა ბევრთანი. მამანი, და დედანი, ჭაბუკნი, და ჭაბუკანი, ყრმანი, და ყრმანი, მღუდელნი, დიაკონნი, სამღუდელოთაგანნი, და მონაზონნი ყნი ეკკლესიად ეკკლესიად მოასხიან დადაწვიან ეკლესიასა შა: **ქ** უკანასკნელ მოაგონნა მამამან მისმან ეშმაკმან ესეცა რთუ სადამე ცხოველს-ყოფელსა **ქ** ა შეურაცხ-ყოფდის ვინ. განარინიან, და მრავალთა, ვგონებ ვდ მილიონისა უმრავლესთა და იდგეს გვი-

რგვნი წამებისა:

**ქ** დიდი იგი ეკკლესია მცხეთისა, რლი აღაშენა მეფემან **ქ**ახტანგ პლმან, რლი-სა იყო გებულ კამარანი, და სჭტნი მარმარილოსანი, და იატაკიცა მარმარილო-სა, ჯერეთ მოწუა ცეცხლითა ბილწმან მან, და მერმე ძირითურთ მოფხურა იგი. და სხუა || ნაბუზარდან იქმნა სახლსა **ზ** ა **ი** ისასა. და ყოველნი საეპისკოპოსონი ეკკლესიანი, და მონასტერნი ქალაქთა და უდაბნოთანი სდ დააქცივნა ძირითურთ, და არცა

1-20 სტრ., 42v

ერთი ეკკლესია განერა აღუფხვრულად კელთაგან მისთა, თვნიერ ეკკლესია ბოდბისა, რლი მაშინ მონასტრად იყო, სადა მდებარე არს გუამი განმანათლებელისა ჩნისა წისა ქალწულა ჩონნასი, და ესე დაფარა **ი** ნ, რ მძლავრთაცა ეშინის ზოგჯერ სიწმიდეთაგან, და დაიფარა სიწმიდე იგი მაშინ, ვითა || **ქ**ერემიას მრ დამალულნი სიწმიდენი:

**შ**-რავალნი უკუჭ ბრძოლანი აჩუჭნეს მაშინ ქართუჭლთა ლანგთემურს, რ მეფე **ქ**აგრატ ფდ მწნე იყო ბრძოლათა შა. ხ შდ ვერ განერა მეფეცა, ად ბრძლასა შა აღსწყვიდეს ლაშქარნი მისნი. და თვთ შეიპყრეს მეფე, და წარიყუანა იგი ცოცხალი უღთომან ლანგთემურ. **ქ** დედოფალი ცოლი **ქ**აგრატისი, და ძე ყრმად **ქ**იორგი განერნენ მცირეთა ვიეთმე მკველითა. და რაოდენითამე კაცითა საერისთოსა შინა. და ეგრეთვე კათოლიკოსიცა სამოილ განერა მცირითა ვიეთმე სამღვდელოთა კაცითა: **ქ**

ვითარ მიიწია უღთო იგი შირუანად განუტევა მეფე იგი **ქ**აგრატ ცოცხალი, და მისცა მეფობავე მოოხრებულისა მის სამეფოდსა, და თვთ წარვიდა სპარსეთად:

**შ**-აშინ არცაღა ერთი სოფელი, არცადაბაკი, არცა სახლი სადმე, არცა ეკკლესია იპო-ებოდა ქართლსა შა თვნიერ საერისთოთა არაგვისა, და ქსნისათა. ხ თუ სადამე მორჩნენ და

ურღმუნველად ეკლესიანი. იგინი რ~ლნი პ~ლ აღოცრებულ, და უმენ იყუნეს: **ღ~**  
მოკუდა

უკუძ მეფე **უაგრატ** მწუხარებისა მისგან დიდისა, და არავინ უწყის თუ სადა დაფლეს  
იგი, რ~ მცხეთა მოფხრული იყო, და ყ~ნი ეკლესიანი დარღმულ იყუნეს. და ესე ვიდ-  
რემე სიტყუა აქამდის:

**სიტყუა მეათე.**

1-20 სტრ., 43r

**ჟ~დ** || <note>|| 1 **ჟ~კაბ.** 1-33</note> **ჯ**ნტიოხოს მეორისა, უღთოდსა მის

**ზ**ანგთემურისაგან მოფხრების, იქმნა მეფედ

**ღ**იორგი მე **უაგრატისი.** გარნა სახელით ოდენ მეფე, რ~ არა რად აქუნდა მას სამეფო,  
არ-

ცა იცხო მან: და მოკუდა იგიცა ჟამსა სიჭაბუკისასა. და დაშთა ყრმად მცირე, რ~ლი  
**ჯ**ლ-

ექსანდრე პ~ლი. ხ~ იყო რა რვისა წლისა უწოდეს მეფედ . და იყო აღოცრებულ ქართ-  
ლი, ჯავახეთი, კახეთი, შირვანი. და სადაცა ვინ თუ სადამე განძრომილ იყო  
შთამოვიდ-

ეს მთით, და იწყეს შენება დაბათა:-

**ღ~** სანატრელი იგი დედა მისი დედუფალი, აღზრდიდა **ჯ**ლექსანდრეს მეცნიერებისა  
სამღთოთა წერილთასა, დამოჰგჳარა მას კოსტანტინუპოლოთ მოძღჳარი ვინმე კა-  
ცი **ი**ის-მეტყჳელი, და დაისწავნა **ჯ**ლექსანდრე კნინლა ზეპირ ყ~ნი სა~ღთო წერილ-  
ნი, და ყ~ნი სიმგრგვლე, გარემისა მეცნიერებისა: **ზა ვ~რ** იგი იქმნა ოცისა წლისა  
მეორემან || <note>|| **ჩ**ემია. 2.18</note> **ჩ**ემია იწყო ზღუდეთა ქალაქისათა

დარღმულთა განახლებად, და სახლთა-

სამეფოთა მაგრა ვერღარა აღაშენა სახელოვანი ნისანი ქალაქი, ა~დ ტფილისს იმის  
ცვა-

ლა ქალაქი სამეფომ. და ყ~ნი ეკლესიანი რაოდენნიცა საეპისკოპოსონი, ანუ მონა-  
სტერნი მოეფხრნეს უღთოსა ლანგ თემურს ყ~ნვე ალაგნა და განაახლნა, დაჰყვის  
ენკენია

დიდი რ~ლიცა ეკლესია განაახლის:

**ღ~** თვთ იგიცა ეკლესია დიდი მცხეთისა აღაგო მეორემან || <note>|| 2 **უ**ზრა 3.2</note>

**ზ**ორაბაბილ, დაჰყო ენკენია

დიდი პ~ლსა ოკდომბერსა, რ~ლიცა დღეინდელად დღემდე ჰგიეს ყ~ა საქართველოსა  
შ~ა დღ-

ესასწაულად დიდად: **ღ~** სოფელნი დაქალაქნი ყ~ნი აღაშენნა: რ~ ფ~დ მჳნე იყო იგი  
ბრძო-

ლათა შ~ა, და მჳსგავსად **ზ**ავითის მამისა მისისა შეადრწუნნა უცხო თესლნი რ~ მრავა-  
ლ-გზის ებრძოლა მათ მკვიდრთა სპარსეთისათა. და რომელიცა აღიღის ქალაქი  
დაწარ-

1-20 სტრ., 43v

მოიღოს ნატყჳნავი, და წარმოასხნის დედა წულითა ტყჳნი. რაჟამს მივიდის სამე-

ფოდ თვსად მისცის მკედართა თვს ხუთი, და თვთ აღილის ერთი, და მიაართვის წ~თა ეკვლესიათა, ხ~ ტყუჭნი იგი არცა ერთი განისყიდებოდა, ა~დ სადამე სამეფოდ აღი-

ყუანთან თვისთა ქალაქთა დასოფელთა დასახლებდიან მშვიდობით, და უკეთუ თავადთა თვს

თვსთა სოფელთა უბრძანეს თავადთა მათ დასახლებაჲ. და რაოდენნი მხედართა ჰყუანდ-

იან ფასი მეფისაგან მიეცემოდის, და ქალაქთა, და სოფელთა მეფისათა დასახლებდიან:

**ღ**რმეოც წელ უკუჭ იმეფა საკვირველმან მან. და არცა ერთისა ნახევრავისა მიმღებელ იქმნა გლეხთაგან, და ჟამსა მეფობისა მისისასა, ვერცა თავადნი მიიღებდეს რასმე გლე-

ხთაგან თვსთა, რ~ ახალ შენ იყო მაშინ სამეფო მისი, და სწადოდა ფ~დ რ~ა აღემნოს ქართლი: **ღ** ყ~ი მისი ათისაგან ერთი გლახაკთა მიეცემოდა, და ამით || ვ~ა მზე საყ-დარი მისი დადგა წ~ე **ი** ისა. და იპყრა აფხაზეთი, და იმერთაცა სამეფოდ, და ყ~ი რაოდენიცა

განყოფადმდე აქუნდაყე საქართველოსა მეფეთა, და ყაზარდიაჲცა, ოვსნი, და ქისტნი, მახლობელნი აფხაზეთანი ჯიქნი, დამახლობენლი იმერთანი სჟანნი. და იქმნა ერთ სამეფოდ ვ~ა პ~ლ მამათა მისთა აქუნდა:

**ზ**ა ვ~რ იგი იქმნა ორმოცდა რვისა წლისა **ჯ**ლექსანდრე დიდი მოუწოდა ძეთა თვის-თა რლთა პირმშოდ მონაზონ იყო სახელით **ზ**ავით. და **ზ**ახტანგს უკუჭ მისცა რ~ლი იყო ძე მეორე აფხაზეთი ჯიქეთი, სჟანეთი, ოდიში, გურია, და ყოვ-ელი სამეფოდ იმერთა მეფეთა და უწოდა მეფედ: **ზ**იმიტრის ქართლი. ჯავ-ახეთი, ოვსეთი, ყაზარდია, და ქისტეთი, დაუწოდა მეფედ. **ღ** უმრწემესა ძესა **ღ**იორგის მისცა, კახეთი, ჰერეთი, რ~ლსა შ~ა არს ჭარი, და კავი მცირენი თე 1-20 სტრ., 44r

ძე ჰავ **ღ**იორგისა, რ~ლნიცა მოკლა მამა თვისი: ხ~ იმეფა **ს**იმეონ არა მშვიდობით უცხო-

თესლთაგან, და უკანასკნელ ბრძოლასა შ~ა თურქთა წარიყვანეს ტყუჭდ კონსტანტინუპ-

ოლის და მიიცუალა მუნ, და იქმნა ძე მისი **ღ**იორგი მეფედ მის წილ. ამისსა მეფობასა დაიპყრეს თურქთა ქ~ყნა ჯავახეთისა, და უარ ჰყვეს და დაუტევნეს თვთ მთავარმან ჯავ-

ახეთისამან. და სამთავრომან მისმან **ი**ჩ~ნი **ი**ჯ **ი**ქ, და იქმნნეს მახმედიან, ხ~ იყო კახთა

ზ~ა მეფედ **ჯ**ლექსანდრე ძე **ზ**ეონ დიდისა:

**შ**ოკუჭდა უკუჭ **ღ**იორგიცა მეფე წამლითა უღთოსა **შ**აბაზისათა, და იქმნა მისწილ მე-ფედ ძე მისი **ზ**უარსაბ მეორე, ფ~დ ჭაბუკი ასაკითა. ხ~ მოიკლაცა **ჯ**ლექსანდრე მეფე კა-

ხეთისა ძისა თვისისა **სონსტანტინეს მ**რ. და იქმნა უკეთური იგი **სონსტანტინე**  
მეფედ  
მკჳლელი მამისა დამძისა თვისისა **ღიორგისი**. და მიემსგავსა იგიცა საქმეთა ჰავ  
**ღიორგისთა პაპი**-  
სა თვისისათა. ხ<sup>~</sup> მოიკლა თვით იგიცა უღმრთო **სონსტანტინე** კახთა მ<sup>~</sup>რ. და ესრე  
ვიდრემე სი-  
ტყუა აქამდის:

**სიტყვა მეთსამეტე: 13**

**უ**სთქუათ რ<sup>~</sup>ა უღთოსა **სონსტანტინეს მ**რ მოკვლად მამისა თვისისა მეფისა  
**ჯლექსანდრე** მესამისა,  
და ძმისა თვისისა **ღიორგისი**, და მოკვლაცა მისი კახთაგან, მეფე იქმნა შ<sup>~</sup>დ  
უღმრთოსა **სონს-**  
**ტანტინესა** **მეიმურაზ** კ<sup>~</sup>ლი კახთა ზ<sup>~</sup>ა. ხ ესე **მეიმურაზ** ძისწული იყო  
**ჯლექსანდრესი** ძისაგან  
თვისისა მოკულულისა, და ძე კახთა მეფისა **ჯავითისი: ლ** მამამან ამის  
**მეიმურაზისმან** **ჯავით** ძემან  
**ჯლექსანდრე** მესამისამან მიუღო მეფობად კახთა მამას თვისსა **ჯლექსანდრეს**  
**სიცოცხლესავე**  
შ<sup>~</sup>ა, და თვით იქმნა მეფედ. **ლ** არა ჰყოვნა სასჯელმან სამღთომან. და მოკჳდა მეფე  
კახთა **ჯავით** სი-  
ცოცხლესავე შინა მამისა თვისისასა, და მეფედ კახთავე იქმნა **ჯლექსანდრე: ხ** შ<sup>~</sup>დ  
სიკვდილისა  
1-20 სტრ., 44v  
**ჯლექსანდრესა**, და უკეთურისა მის **სონსტანტინესა**, მეფედ კახთა იქმნა **მეიმურაზ**  
კ<sup>~</sup>ლი: ხ<sup>~</sup> ჟა-  
მსა მას იყო მეფედ ქართლისა **ჯუარსაზ** მეორე:  
**შოიწია** უკჳს უღთო შაბაზ მეფე სპარსთა კახეთსა ზ<sup>~</sup>ა, და მოაოგრა კახეთი ვ<sup>~</sup>ა  
**ჯანგთემურ**  
ეგრეთვე სახედ ამან, დასოფელნი, და თვთ ყ<sup>~</sup>დ შვენიერი იგი ქალაქი გრემი სადაცა  
მეფობასა  
განაგებდენ მეფენი კახთანი, გარდაასახლნა სპარსეთად ვ<sup>~</sup>ა ჰყო || **ჩაბუქოდონოსორ,**  
**ქერო-**  
სალიმსა ზ<sup>~</sup>ა, და იუდიასა, და **ჯუარსაზ** მეფე ქართლისა წარიყუანა ასტრაბათად,  
დამოკლა მუნ  
მოშთობისა მ<sup>~</sup>რ. ხ<sup>~</sup> ლუარსაზს არა ესვა ძე, არცაღა ძმა, და აღსწყდა მეფისა **სიმეონ**  
კ<sup>~</sup>ლისა ნა-  
თესაობად:  
**შაშინ** ქართველთა წინა-აღმდეგად სპარსთა მეფისა ჰყუჳს მეფედ ქართლისად მეფე  
კახთა **მეიმ-**

ურაზ კ~ლი, მით რ~ ცოლი **ქ**ეიმურაზისი დაა იყო მეფისა **ზ**უარსაზ მეორისა,  
დასცხეს მეფედ  
ტფილისს, გარნა არა თავს-იდვა ესე მეფემან სპარსთამან, ა~დ წარმოგზავნა ქართლსა  
ზ~ა ლაშქარ-  
ნი უთვალავნი, და მოვიდეს მდინარესა ზ~ა ალგეთისასა: **რ**ინადცა ქართველთაცა  
შეკრიბნეს  
ლაშქარნი ვ~რ ოცდა ოთხი ათასი: **ქ** მაშინ განრისხდა **ო**ნი საქართველოსა ზ~ა, და  
მოსწყდეს ლა-  
შქარნი საქართველოსანი ოცი ათასი კაცი. და ივლტოდა მეფე თეიმურაზ იმერეთად.  
ხ~ ჰყუჴს  
სპარსთა მეფედ ქართლისად სახელით **ქ**ოსტომ ვინმე ფ~დ მოხუცებული ძე  
**ზ**აგრატოვან-  
თავე მახმედიანი. რ~ მეფესა ქართლისასა **ს**იმეონს კ~ლსა რ~ლი ზემო ვახსენეთ ჰყუჴა  
ძმაჲ უმ-  
რწმესი სახელით **ზ**ავით, ესე **ზ**ავით წარვიდა სპარსთა მეფისა, დამახმედიან იქმნა,  
დაცოლი, და შვი-  
ლნი მისნი ყოველნივე დაშთეს ისპაანად, და ესე **ქ**ოსტომ მუნ იშვა ქალაქსა ისპაანს,  
და  
მეფედ ჰყვეს ესე სპარსთა მემკვიდროებისა ძლით. და ესე ვიდრემე სიტყუჴაჲ აქამდის:  
**ს**იტყუჴა მეთათხმეტე:  
1-20 სტრ., 45r  
**შ**ეფე უკუჴ ქართლისა იქმნა რა **ქ**ოსტომ, მისცნა ციხენი ტფილისისანი მეფესა  
სპარსთასა.  
და დარღჴულნი ქალაქთა ზღუდენი განაახლნა, და იმეფა ვითარ ოც წელიწად  
ოდენ. დადიდსა სიბ-  
ერესა მიიწია. **ქ** არა ჰყუჴა ძე არცა ასული. და ეძიებდა, რათამცა ვინ ჰპოვოს  
ზაგრატოვანთა-  
განი, რათა იმემკვიდროს: **ქ** იყუნეს მაშინ ზაგრატოვანთაგანნი შვილთაგან  
**კ**ონსტანტინე ქართ-  
ჴლთა მეფისათა, და ჯეროვან იყო, რათა მათგან ვინმე დაიმკვიდროს ქართლი:  
**რ**სრეთ უკუჴ ძი-  
ებასა შ~ა რა იყო მეფე **ქ**ოსტომ განიზრახა უკუჴ მემკვიდრედ თვისა ყოფაჲ  
**რ**ახტანგისი  
**რ**აგრატოვანისა. ვ~რ უკუჴ **რ**აგრატოვან იყო **რ**ახტანგ. მეთერთმეტესა უკუჴ სიტყუჴა  
სა შ~ა მოვიხსენეთ რა მეფე ქართჴლთა **ზ**ავით ძე მეფისა **კ**ონსტანტინესი. და ამის  
**ზ**ავითისი-  
ცა ძმაჲ მოგვიხსენებებს სახელით **რ**აგრატ. ამას **რ**აგრატს მისცა მეფემან **ზ**ავით  
სამთავროჲ,



რლისა სახელი არს მუხრანი: ხ ამის ჴაგრატის ძე იყო Ⴀრაკლი, და ძე Ⴀრაკლისი  
Ⴀრ-

ჩილ, ძე Ⴀრჩილისი ჴახტანგ, ძე ჴახტანგისი თეიმურას, და ძე Ⴀეიმურაზისი ჴა-  
ხტანგ მესამე, რლი იმემკვიდრა მეფემან Ⴀოსტომ: Ⴀ მოკუდა მეფე იგი Ⴀოსტომ.  
და მეფე იქმნა ჴახტანგ მესამე:

Ⴀმან დაიპყრა იმერეთიცა, ოდიში, გურია, ქართლი, კახეთი. ხ შირვანი ადრე  
წარსწყმიდეს

კახთა მეფეთა, დაშაქისი, რლა აჯიჩალაბის სამთავრო არცალა იგი აქუნდათ კახთა  
მეფეთა მი-

ერთგან მოაოჯხრა რა შაჰაბას სპარსთა მეფემან კახეთი: Ⴀ დასვა კახეთსა შა მეფედ,  
მეფე-

მან ჴახტანგ ძე თვისი პირმშოდ Ⴀრჩილ, და თვთ მეფობდა ქართლსა და იმერეთსა  
ზა, გა-

რნა ვერღარა ეძლო დაპყრობად სამთავროსა ახალციხისასა, მით რ თურქთა ეპყრათ  
იგი:

Ⴀ შდ ჟამთა Ⴀოსტომის მეფობისათა მეფე კახთა Ⴀეიმურაზ ვერღარა დაადგრა  
კახეთს შა,

რ ფდ მოხუცებულყო. და ძე უკუწ მისი ჴავით მოკლულიყო ავაზაკთაგან  
ნადირობასა შა.

1-20 სტრ., 45v

და ერთი მხოლოდ მის წული ოდენ ჰყჳ სახელით Ⴀრაკლი. და დედითურთ  
წარგზავნა რუსეთად წე მეფ-

ისა Ⴀლექსი შიხაილოვიჩისა. და აღზარდა რუსეთსა შა ყრმა იგი რლსა რუსნი  
უწოდებენ

ჩიკოლად:

Ⴀ მეფე იგი ქართველთა ჴახტანგ ფდ გონიერ იყო და მკნე. და ჰქმნა მეფობად ოცსა  
წელ-

სა ბედნიერობით, და პირმშოდ ძე მისი წარვიდა კახეთით რლა მეფე არჩილ, და  
დაიპყრო მეფობა

იმერეთისა: ჴა შდ მოკუდა მეფე ჴახტანგ, და იქმნა მეფედ ძე მისი Ⴀიორგი. და  
Ⴀრჩილ წარ-

ვიდა რუსეთად, დამუნ აღესრულა ჟამსა Ⴀეტრე კლისა იმპერატორობისასა. რლისა  
ძენიცა სამნი

მოსწყდეს იმპერიასა შა რუსეთისასა. და დაშთა ასული სახელით ჴარია. რლიცა  
მოკუდა ჟამსა Ⴀნ-

ნა Ⴀოანევენას Ⴀმპერატორობისასა:

Ⴀ ვჰსთქჳთ ესეცა, რ განუდგა მეფე იგი ქართველთა Ⴀიორგი ძე ჴახტანგისი  
მეფესა სპა-

რსთასა, და მიუღო მეფობად ქართველთა Ⴀიორგის მეფემან სპარსთამან, და მისცა  
Ⴀრაკლის

მისწულსა **მ**-ეიმურაზ კახთა მეფისასა, აღზრდილსა რუსეთს შ<sup>ა</sup>, და **ჩ**იკოლოზ სახელდებულსა

რუსთა შ<sup>რ</sup>, და ესე ვიდრემე სიტყუა აქამდის:

**ს**იტყუა მეთხუთმეტე:

**ქ** ვ<sup>რ</sup> იხილა მეფემან საქრთუჭლთამან **ქ**იორგი, რ<sup>ე</sup> მოელო მეფობად წარვიდა წ<sup>ე</sup> სპარსთა მეფისა,

**ხ** იხილა რა სიტუჭლე **ქ**იორგისი სპარსთა მეფემან ჰყო სპასალარ[.], დამეფობაცა ქართლისა მი-

სცა მას. და მეფესა **რ**აკლის მისცა მეფობად კახთა საკუთარი თვისი: **ქ** მოკუდა **რ**აკლ-

იცა მეფე, დამეფეცა **ქ**იორგი მოიკლა ბრძოლათა შ<sup>ა</sup> ყანდაარს, და იქმნა სპასრთა მეფისა მიერ მეფედ ქართველთა **ქ**ოსრო ძმისწული მეფისა **ქ**იორგისი, და მე **ხ**ეონისი, რ<sup>ე</sup> ლსა სპასალარობაცა აქუნდა სპარსთა მეფისა, და მეფედ კახთა იქმნა მე კახთა მეფისა **რ**აკლისი

1-20 სტრ., 46r

**რ**ავით: **ქ** მეფეცა იგი **ქ**ოსრო მოიკლა ბრძოლათა შ<sup>ა</sup> იგიცა ყანდაარს, დაშთა მე მცირე რ<sup>ე</sup>ლი იგი

ცა მოკუდა, და ასული ერთი სახელით **რ**ნა, რ<sup>ე</sup>ლიცა იმყოფების დღეს სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს: **ქ** ვ<sup>რ</sup> იგი მოკუდა მეფე იგი ქართველთა **ქ**ოსრო სპარსთა მეფისა შ<sup>რ</sup> მეფე იქმნა ქართველთა **ზ**ა ძმა მისი **რ**ესე მამა მე უნდოდსა, და მოიყუნა მან ცოლი

ასული კახთა მეფისა **რ**აკლისი და მეფისა კახთასა **რ**ავითისი დედად ჩემი. დაშემდგომად რაოდენისამე წლისა მეფე **რ**ახტანგ მეოთხე სპარსთა მეფისა მიერ სპასალარ იქმნა, დამამასა ჩემსა მიულო ქართუჭლთა მეფობად მეფემან სპარსთამან; და მისცა მესა მეფისა **რ**ახტანგისსა **ქ**აქარს: **ქ** კ<sup>დ</sup> შ<sup>დ</sup> რაოდენისამე წლისა მიულო მეფობად **ქ**აქარს მეფემანვე სპარსთამან, და მისცა მეფესა **რ**ახტანგს მამასა **ქ**აქარისსა:

**ქ** მოკუდა მეფე კახთა **რ**ავით, და მეფედ კახთა ჰყო სპარსთა მეფემან ძმა **რ**ავითისი, და მე **რ**აკ

ლი მეფისა კახთასა **ქ**ონსტანტინე: **ქ** დ შ<sup>დ</sup> ორისა, ანუ სამისა წლისა მიულო ქართუჭლ-

თა მეფობად **რ**ახტანგს მეფემან სპარსთამან. და მისცა კახთა მეფესა **ქ**ონსტანტინეს: **ქ** ვ<sup>რ</sup>

იხილნა მრავალჯერ სიცრუენი სპარსთა მეფისანი მეფემან **რ**ახტანგ, და თურქნიცა მოვიდეს,

დადაიპყრეს საქართუჭლოდ, წარვიდა იმპერიას, რუსთასა ჟამსა სანატრელისა, **რ**ეტრე კ<sup>დ</sup>ლისასა ყოვ-

ლითურთ მისით, და მუნ აღესრულა ქალაქსა ასტრახანს. და ესე ვიდრემე სიტყუა აქამდის:

**ს**იტყუა მეთექვსმეტე:

**ჩ**არვიდა რა იმპერიად რუსეთად **რ**ახტანგ მეოთხე, დაუტევა ძმად თვისი ნაცვლად თვისად მე-

ფე უესე მამაჲ ჩემი, ხ~ მაშინ იპყრობდეს ქართლსა თურქნი, მოკუდა მამაცა ჩემი. და მოკლეს

თურქთა მეფეცა კახთა სონსტანტინე. და კახთა მეფედ იქმნა თურქთ მ~რ **მ**-ეიმურაზ მეორე.

ხ~ ჟამსა **მ**-ეიმურაზის კახთა მეფობისასა თურქნი მეფობდეს ქართლსა ზ~ა ფაშა იგი ჯავა-

1-18 სტრ., 46v

ხეთისა, რ~ლ არს ახალციხისა. და მერმე დაიპყრა რა ქართლი შაჰნადირ ხანნი სპარსთანი მეფობდეს

ქართლსა ზ~ა: **ქ** შ~დ რაოდენთამე წელთა მისცა მეფობაჲ ქართლისა შაჰნადირ მეფესა კახთ-

ასა **მ**-ეიმურაზ მეორესა, და მეფობაჲ კახეთისა ძესა **მ**-ეიმურაზისსა ურაკლის მეორესა. ხოლო იცხო

მეფემან **მ**-ეიმურაზ ჩემ უღირსისაგან:

**უ**იტყოდეთ ამასცა, ვ~დ დღესა რაჲვეცა არს ქართლისა პროვინცია უპყრიეს მეფესა ქართლ-

ისასა, უკეთუ არა აღობრებულ იყო. გარნა ქ~ყნა იგი ახალციხისა. რ~ლ-არს ჯავახეთი.

შ~დ მეფისა ქართუჭლთასა **ხ**უარსაბ დიდისა უპყრიეს თურქთა, და არს მუნ ფაშად კ~ლი იგი

მთავარი მათი **ჯ**თაბაგი. რ~ლიცა განაწესა მთავრად მეფემან **მ**-ამარ ყ~ისა

საქართუჭლოძსა-

მან. ხ~ მთავარი იგი ჯავახეთისა, თურქთა დაპყრობადმდე მონებდა

მეფესაქართუჭლთასა.

**ქ** პროვინცია კახეთისა მესამე უკუჭ ნაწილი არღარა არს დღეს ჳელის ქუჭშე კახთა მეფისა,

რ~ შირვანი ადრითგან მიელო, დაშაქისი ჟამითგან შააბაზის მოობრებისა. ხ~ შაქიშისა ნა-

წილი არს ჳარიცა, რ~ლისა მ~რ აღობრებულ იქმნა კახეთი ახალთა ჟამთა შ~ა. გარნა რაჲ-

ვეცა აქუს დღეს კახთა მეფესა შენ არიან ყ~ლნი:

**უ**ჰსთქუათ ვ~დ ესეცა, ვ~დ დედა ურაკლი მეორისა რ~ლი არს მეფედ კახთა, ასული იყო მეფისა ქართუჭლთასა **უ**ახტანგ მეოთხისა, დაჲ მეფისა **ქ**აქარისი:

|| **ქ** შ~ეუფესა მას საუკუნეთასა უბრწუნელსა, უხილავესა, მხოლოსა ბრძენსა **ი**~ა, პატივი დიდება

უკუნითი უკუნისამდე

ამინ:-